საქართველოს მთავრობის

დადგენილება №567

2014 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი

თავდაცვის სფეროში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თავდაცვის სფეროში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების თანდართული ნუსხა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

თავდაცვის სფეროში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო.